საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 111 2016 წლის 7 მარტი ქ. თბილისი

„სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში (სსმ, 168, 24/12/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილებით დამტკიცებული №2 დანართის (დებულება სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. სტაციონარულ დაწესებულებაში, „რეანიმაციული“ სერვისის წარმოების შემთხვევაში, რეანიმაციული საწოლების რაოდენობა არ უნდა იყოს სტაციონარული დაწესებულების საწოლების საერთო რაოდენობის 1/3-ზე მეტი.“.

2. დადგენილების №2[1] დანართით განსაზღვრული ცხრილის (სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობები):

ა) საერთო სანებართვო პირობების:

ა.ა) მე-20 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 20[1] პუნქტი:

„20[1]	„გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების მიწოდება, რომლის ფარგლებშიც, 24 საათის განმავლობაში, პაციენტისათვის უზრუნველყოფილია სწრაფი და ეფექტური ხელმისაწვდომობა ისეთ სამედიცინო დახმარებასთან, რომლის გარეშეც გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესება, ხოლო შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, პაციენტების ეფექტური განთავსება/ტრანსპორტირება შესაბამისი სერვისის მიმწოდებელთან.“;	

ა.ბ) 23-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„23	რენტგენოლოგიური სერვისის უზრუნველყოფა	ა) არ მოეთხოვება ნარკოლოგიური, დერმატოლოგიური, ფსიქიატრიული, ოფთალმოლოგიური, გინეკოლოგიური და სამეანო საქმიანობებისას; ბ) შესაძლებელია განხორციელდეს უშუალოდ ნებართვის მაძიებლის/მფლობელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან იმავე ფაქტობრივ მისამართზე ხელშეკრულების საფუძველზე ისე, რომ

		იძლეოდეს სამედიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული განხორციელების დასაბუთებას.“;

ა.გ) 25-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„25	ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის სერვისის უზრუნველყოფა	ა) არ მოეთხოვება ნარკოლოგიური, დერმატოლოგიური, ფსიქიატრიული, ოფთალმოლოგიური და ოტორინოლარინგოლოგიური საქმიანობებისას; ბ) შესაძლებელია განხორციელდეს უშუალოდ ნებართვის მაძიებლის/მფლობელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან იმავე ფაქტობრივ მისამართზე ხელშეკრულების საფუძველზე ისე, რომ იძლეოდეს სამედიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული განხორციელების დასაბუთებას.“;

ა.დ) 27-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„27	საწოლი/პალატა ინტენსიური თერაპიისათვის.“;	

ბ) დამატებითი სანებართვო პირობების:

ბ.ა) IV ნაწილის (ნეონატოლოგიური მომსახურების შემთხვევაში

სტაციონარს დამატებით უნდა გააჩნდეს) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3	„რეანიმაციული“ სერვისის უზრუნველყოფა	ა) არ მოეთხოვება პირველი დონის პერინატალური (ნეონატალური) სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებას; **ბ)** შესაძლებელია განხორციელდეს უშუალოდ ნებართვის მაძიებლის/მფლობელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან იმავე ფაქტობრივ მისამართზე ხელშეკრულების საფუძველზე ისე, რომ იძლეოდეს სამედიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული განხორციელების დასაბუთებას. **შენიშვნა:** გამონაკლისს წარმოადგენს მაღალმთიანი/საზღვრისპირა რაიონები (მუნიციპალიტეტები), სადაც აღნიშნული სერვისის განხორციელება ნებადართულია, ინტენსიური თერაპიის პალატის ფარგლებში, მართვითი სუნთქვისათვის საჭირო აღჭურვილობის (მ.შ. აირების უსაფრთხო მიწოდების) და შესაბამისი სპეციალისტით უზრუნველყოფის შემთხვევაში.“;

ბ.ბ) VII ნაწილის (ქირურგიული პროფილის მომსახურების შემთხვევაში სტაციონარს დამატებით უნდა გააჩნდეს) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5	„რეანიმაციული“ სერვისის უზრუნველყოფა	შესაძლებელია განხორციელდეს უშუალოდ ნებართვის მაძიებლის/მფლობელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან იმავე ფაქტობრივ მისამართზე ხელშეკრულების საფუძველზე ისე, რომ

		იძლეოდეს სამედიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული განხორციელების დასაბუთებას. **შენიშვნა:** გამონაკლისს წარმოადგენს მაღალმთიანი/საზღვრისპირა რაიონები (მუნიციპალიტეტები), სადაც აღნიშნული სერვისის განხორციელება ნებადართულია ინტენსიური თერაპიის პალატის ფარგლებში მართვითი სუნთქვისათვის საჭირო აღჭურვილობის (მ.შ. აირების უსაფრთხო მიწოდების) და შესაბამისი სპეციალისტით უზრუნველყოფის შემთხვევაში.“;

ბ.გ) VIII (სამეანო-გინეკოლოგიური პროფილის მომსახურების შემთხვევაში სტაციონარს დამატებით უნდა გააჩნდეს) და VIII[1] (სამეანო მომსახურების შემთხვევაში, სამეანო-გინეკოლოგიური პროფილის მომსახურების პირობებთან (ამ დანართის VIII ნაწილი) ერთად, დამატებით მოეთხოვებათ) ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„VIII	გინეკოლოგიური პროფილის მომსახურების შემთხვევაში სტაციონარს დამატებით უნდა გააჩნდეს:	
1	საოპერაციო ბლოკი დაგეგმილი განათებით	
2	საოპერაციო დარბაზის ჰაერში მიკროორგანიზმებისა და ვირუსების არანაკლებ 95% ინაქტივაციის უზრუნველყოფა	
3	პოსტოპერაციული პალატა	
4	მოწყობილობა ანესთეზიისათვის	
5		შესაძლებელია განხორციელდეს უშუალოდ ნებართვის მაძიებლის/მფლობელის მიერ ან/და

	„რეანიმაციული“ სერვისის უზრუნველყოფა	ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან იმავე ფაქტიურ მისამართზე ხელშეკრულების საფუძველზე ისე, რომ იძლეოდეს სამედიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული განხორციელების დასაბუთებას. **შენიშვნა:** გამონაკლისს წარმოადგენს მაღალმთიანი/საზღვრისპირა რაიონები (მუნიციპალიტეტები), სადაც აღნიშნული სერვისის განხორციელება ნებადართულია ინტენსიური თერაპიის პალატის ფარგლებში მართვითი სუნთქვისათვის საჭირო აღჭურვილობის (მ.შ. აირების უსაფრთხო მიწოდების) და შესაბამისი სპეციალისტით უზრუნველყოფის შემთხვევაში.
VIII[1]	სამეანო მომსახურების შემთხვევაში, გინეკოლოგიური პროფილის მომსახურების პირობებთან (ამ დანართის VIII ნაწილი) ერთად, დამატებით მოეთხოვებათ:	
1	სხვა სერვისების მიმწოდებელი განყოფილებებისაგან დამოუკიდებელი მიმღები	
2	სამშობიარო ბლოკ-პალატა	
3	ნეონატოლოგიური სერვისი	
4	ამ დანართის VIII ნაწილის მე-5 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება პირველი დონის პერინატალური (სამეანო) სერვისის მიმწოდებელ სუბიექტებზე. მათთვის რეანიმაციული სერვისის მიწოდება, ასეთი საჭიროების არსებობისას, ნებადართულია ინტენსიური თერაპიის პალატის ფარგლებში, მართვითი სუნთქვისათვის საჭირო აღჭურვილობითა (მ.შ. აირების უსაფრთხო მიწოდების) და შესაბამისი	

	სპეციალისტით უზრუნველყოფის შემთხვევაში.“;	

ბ.დ) IX ნაწილის (რეანიმაციული მომსახურების შემთხვევაში სტაციონარს დამატებით უნდა გააჩნდეს) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1	სარეანიმაციო დარბაზი დაკვირვების ავტომატური სისტემით, ძირითადი სასიცოცხლო ფუნქციების (პულსისა და სუნთქვის სიხშირე, რითმი, არტერიული წნევა) უწყვეტი მონიტორინგისათვის, რეანიმაციული საწოლები, რომელთა რაოდენობა არ უნდა იყოს სტაციონარული დაწესებულების საწოლთა საერთო რაოდენობის 1/3-ზე მეტი	შერეული (ბავშვთა და მოზრდილთა) სერვისების შემთხვევაში - ბავშვებისათვის ცალკე სარეანიმაციო დარბაზი.“.

მუხლი 2. შესაბამისი ნებართვის მქონე სტაციონარულმა დაწესებულებებმა, ამ დადგენილების ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში, უზრუნველყონ ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებულ ცვლილებებთან შესაბამისობა ან ნებართვის გამცემს, სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, 2016 წლის პირველ მაისამდე წარუდგინონ ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებულ ახალ ვალდებულებებთან შესაბამისობაში მოყვანის გეგმა-გრაფიკი, რომელიც უნდა მოიცავდეს გონივრულ ვადაში (მაგრამ არა უგვიანეს 2016 წლის 31 დეკემბრისა) შესაბამისი სპეციალისტებითა და აღჭურვილობით დაკმაყოფილების პირობებს.

მუხლი 3. სტაციონარული დაწესებულების ნებართვის მაძიებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული პირობების შესრულება დადგენილების ამოქმედებისთანავე.

მუხლი 4. დადგენილება, გარდა პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე. დადგენილების პირველი მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 90-ე დღეს.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**